

90 წუთი "ნასიონალის" პირისპირ

თბილისი "ლოკომოტივის" სტადიონი 16 ივლისი.

"დინამო" (თბილისი) – "ნასიონალი (მონტევიდეო) (0:0

"დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, სიჭინავა (მაჩაიძე) ილიაძე, ასათიანი, მეტრეველი, გავაშელი, მესხი (გ. ნოდია).

"ნასიონალი": მანგა, ბლანკო, რამოსი, ბრუნელი, სარაფია, ალვარესი, პრიეტო, მანეირო, სვლიო (გარსია) სილვეირა (დუარდე) მორალესი (ეუგი).

მსაჯი მ. მკრტიანი (ერევანი).

კარგა ხანია თბილისელი მაცურებელი დიდი საერთაშორისო მატჩების "მშიერ ულუფაზე" ზის. ვინ გვინახავს ჩვენს სტადიონებზე იმ გუნდებიდან, ვისაც საქვეყნო აღიარება და სახელი აქვს? 1937 წლიდან მოყოლებული, შეიძლება თითებზე ჩამოვთვალოთ ბასკონიის ნაკრები. "პარტიზანი" (იუგოსლავია). რუმინეთის ნაკრები ვარშავის ნაკრები, "ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" (ინგლისი), "სლოვანი" (ჩეხოსლოვაკია), "სტად დე რეიმსი" (საფრანგეთი), "ლევსკი" (ბულგარეთი), "რაპიდი" (ავსტრია), "შეფილდ უენსდეი" (ინგლისი), "გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია), "ფლამენგო" (ბრაზილია), "გურნიკი" (პოლონეთი)– 30 წელზე მეტ ხანში სულ რაღაც ცამეტიოდე გუნდი ერთობ ცოტაა!

და აი, ახლა საშუალება მოგვეცა გვენახა გუნდი, რომელსაც დიდი ავტორიტეტი აქვს საერთაშორისო ფეხბურთში –მონტევიდეოს "ნასიონალი", ამ გუნდს ბევრი დიდი მასშტაბის შეჯიბრება აქვს მოგებული, მის შემადგენლობაში გამოდიან საქვეყნოდ განთქმული ექსტრა-კლასის მოთამაშეები. ურუგვაელ ფეხბურთელებს მთელს მსოფლიოში იცნობენ.

მაგრამ როცა ვამბობთ ურუგვაელ ფეხბურთელებს "ნასიონალის" მოთამაშეთა მიმართ, აქ ცოტაოდენი კორექტივიც უნდა შევიტანოთ. ვინაიდან ურუგვაელთა გარდა "ნასიონალში" სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც არიან (ბრაზილიელი, ჩილეელი, არგენტინელი და სხვ). ამდენად, ჩვენ ვიხილეთ თავისებური სამხრეთამერიკული "თაიგული" ამ სიტყვის კარგი გაგებით სტუმრებმა უდავოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს თბილისელ მაცურებელზე თავიანთი შესანიშნავი უმაღლეს დონემდე

აყვანილი ინდივიდუალური ტექნიკის, ბურთი ვირტუოზული ფლობით მაღალი სისწრაფით, კოლექტიური სულისკვეთებით, აზარტული ესპანსიური თამაშით, რომელიც 90 წუთის მანძილზე არც ერთხელ არ გასცილებია ფეხბურთის წესებსა და სტუმრობის ფარგლებს. უხეშობა ჩვენ არ გვინახავს. "ნასიონალის" ფეხბურთელები სულ ორჯერ–სამჯერ შეედავნენ მსაჯს საჯარიმო დანიშვნის თაობაზე, მაგრამ ეს გასაგებია: სამხრეთ ამერიკაში თავისებურად ესმით ძალისმიერი თამაში, ჩვენში – სხვაგვრად. ამიტომ ეს არცაა მხედველობაში მისაღები მატჩი ყოველმხრივ კორექტულად ჩატარდა.

თამაში დაიწყო იმით რომ მესხმა თავის ფლანგზე ერთმანეთს შეაჯახა ორი მოპირდაპირე მცველი და სახითათოდ დაარტყა კარში, წუთის შემდეგ ურუშაძემ სულიოს ზედ ფეხებიდან ააცალა მარჯვნიდან ჩანოდებული ბურთი. ეს ორი მომენტი თავისებური განაცხადი გამოდგა ორმხრივი, უაღრესად დაძაბული ბრძოლისთვის. სტუმრებმა შეძლეს ინიციატივის ხელთ აღება შუა მინდორში ბურთის ზუსტი, მოთქმებული გათამაშების წყალობით. ტექნიკით თბილისელებს ვერ გააკვირვებ, ვინაიდან ჩვენს გუნდში იყვნენ და არიან უმაღლესი ტექნიკის ფეხბურთელები და პირველხარისხოვანი დუბლიორები, მაგრამ ურუგვაელთა თამაშში განსაკუთრებით იპყრობდა ყურადღებას ბურთის ძალზე რბილი, თითქმის შეუმჩნეველი მიღება და დამუშავება, უაღრესად ზუსტი დაბალი გადაცემები. "ნასიონალის" მთავარი იარაღი სწორედ ეს ზუსტი გადაცემებია. მართალია, მოთამაშეები უნაკლოდ ასრულებენ დრიბლინგს და ფინტებს, ათასგვარ განაცვლებას მინდორზე, გარღვევებს და ასე შემდეგ, მაგრამ მათი გადაცემები უნაკლოა სიზუსტით, დროულობით, პარტნიორის მოძრაობის სისწრაფის გათვალისწინებით. თავისუფალ მოთამაშეს ბურთს აწოდებენ სწორედ იქ, სადაც იგი უნდა აღმოჩნდეს გარღვევის დროს ასე თამაშობენ მცველებიც. "ნასიონალის" უკანა ხაზებიდან ვერ ნახავდით უმიზნოდ, ნაჩქარევად მოგერიებულ ბურთს, "ბრმა" დარტყმებს. ძნელ მომენტებშიც კი მცველებს მშვენივრად ესმით ერთმანეთისა და წინ მყოფი მოთამაშეებისა, რომელსაც შეიძლება გადაეცეთ ბურთი.

საყოველთაო ყურადღება მიიპყრო გუნდის კაპიტანმა ალვარესმა. თუ ინიციატივას ფლობს "ნასიონალი", იგი ნახევარმცველის პოსტზეა, მაგრამ საკმარისია შეტევაზე გადავიდეს მეტოქე, რომ ის მაშინვე გადადის დაცვაში. ამ ტექნიკის

ფეხბურთელი წამსვე მესამე სტოპერად ითვლება. დინამოელთა მრავალი კარგი კომბინაცია ჩაიშალა საჯარიმო მოედნის ცენტრში იმიტომ, რომ იქ ალვარესი მოქმედებდა.

მესხი თავის სტიქიაში გრძნობს თავს, როცა სამხრეთ ამერიკელებს ეთამაშება. ასე იყო ახლაც. სტუმრებმა აუარებელი ენერგია შეაღიეს მესხთან ბრძოლას მაგრამ არსებითად ვერას გახდნენ.

ტაიმი უმთავრესად "ნასიონალისა" იყო, მაგრამ "დინამოს" კარი სტუმრებისთვის თითქოს მეორე ხარისხოვან მიზანს წარმოადგენდა. მანიეროს და სელიოს ორიოდ დარტყმა შორი ან საშუალო მანძილებიდან – ეს იყო ურუგვაელთა მთელი აგრესია შესვენებამდე.

მე-2 ტაიმში დინამოელებმა საგრძნობლად გამოასწორეს თამაში. ეს ძირითადად მოხდა იმის ხარჯზე, რომ მეტრეველი როგორღაც უცებ ჩადგა ფორმაში და ნახევარდაცვაში მკვეთრად გააუმჯობესა თამაშში ასათიანმა. თამაში განახლდა იმით, რომ სელიომ შორიდან შესანიშნავი დარტყმით ძელს მოახვედრა ბურთი. აქ უნებლიედ წარმოიშვა კითხვა: თუ "ნასიონალის" ფორვარდებს ასეთი დარტყმები აქვთ, რას უნახავენ მას, რას უცდიან?

მაგრამ ასეა თუ ისე, ასეთი დარტყმები აღარ განმეორებულა. თამაში მსაჯის საბოლოო სასტვენამდე მიმდინარეობდა უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში, მაღალი ტექნიკის დემონსტრირებით და როცა 90 წუთი ამოიწურა, მაყურებელმა სათანადო მიუზღლო ორივე გუნდს დიდი ფეხბურთისთვის

ბ. ქორქია

ლელი 19 ივლისი 1969 წ.

დიდოსტატი ეთხოვება

მინდორს

მიხეილ მესხი გამოეთხოვა დიდ ფეხბურთს. მინდვრიდან წავიდა გამოჩენილი დიდოსტატი, საბჭოთა ფეხბურთის ნამდვილი ვარსკვლავი, ქართული ფეხბურთის მშვენიერა და სიამაყე, რომლის ბრწყინვალე ოსტატობით ექსტაზში შესული

მაყურებლები სსრ კავშირის, ევროპის სამხრეთ ამერიკის, აზიის სტადიონებზე ფეხზე იდგნენ და და თავდავინწყებით გაჰკიოდნენ: „მეს–ხი, მეს–ხი, მეს–ხი“!!!

განშორება მუდამ სევდიანია, მით უმეტეს, როცა ეთხოვები ფეხბურთელს, რომელმაც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო თავის კოლექტივს, თავის ერს. მაგრამ ეს არ იყო ტრადიციული პასიური რიტუალი, როცა მოთამაშე (ზოგჯერ ყოველდღიურ ტანსაცმელში გამონწყობილიც კი, ერთადერთ სიმბოლურ დარტყმას ასრულებს მინდვრის ცენტრში. მ. მესხმა 16 ივლისს ნამდვილი საბრძოლო მატჩის 45 წუთი ჩაატარა საქვეყნოდ განთქმულ ურუგვაულ გუნდ „ნასიონალთან“ და ითამაშა ისე, როგორც თავის საუკეთესო წლებში თამაშობდა – სრული ბრწყინვალეობით. თუ ვინმე არის ისეთი, რომელსაც არ უნახავს მიშა მესხი მინდორზე, შეეძლო ეს 46 წუთი ეცქირა მისთვის და ისეთივე წარმოდგენა ექმნებოდა ამ ფეხბურთელზე, როგორც გვაქვს ჩვენ, ვინც თითქმის 20 წელია თვალს ვადევნებდით მის ზრდასა და სრულყოფას.

სწორედ მოიქცა, ვინც ასე გადაწყვიტა მ. მესხის გაცილება: დიდოსტატი დიდოსტატად დარჩა ყველას მესხიერებაში: ბრწყინვალე, ფეთქებადი ფორვარდი.

გათავდა ტაიმი და თბილისის „დინამოსა“ და მონტევიდოს „ნასიონალის“ არც ერთი მოთამაშე არ გასულა მინდვრიდან. ყველა აქ იყო, ყველა გარს ეხვია დიდ ფეხბურთელს, რომელსაც მხრებზე აყვანილს დაატარებდნენ მინდვრის გარშემო. და, იცით ვინ იყვნენ ისინი, ვინც მიშა მხრებზე შეისვა? ურუგვაელი ფეხბურთელები, რომლებმაც დინამოელებს გამოსტაცეს იგი და თვითონ შემოატარეს მინდორს. ასეთია მიხეილ მესხის დიდი საერთაშორისო აღიარება, პოპულარობა და ავტორიტეტი. მერე „ნასიონალის“ მთელი შემადგენლობა სთხოვდა თბილისელ ფოტორეპორტიორებს – თითო სურათი მაინც გაგვატანეთო.

280 მატჩი ჩაატარა მიხეილ მესხმა თავის მშობლიურ კლუბში – თბილისის „დინამოში“, სადაც 18 წლისა მოვიდა 1955 წელს. სსრ კავშირის პირველ ნაკრებ გუნდში მას 85 მატჩი აქვს ჩატარებული.

ვეტერანს მიესალმნენ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის, „დინამოს“ წარმომადგენლები, გადასცეს მას ყვავილები, საჩუქრები, სიგელები...

საყოველთაო მონონება ჰპოვა რადიოთი გამოცხადებულმა ცნობამ, რომ თბილისში ჩამოყალიბდება სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა, რომლის ხელმძღვანელად დანიშნულია სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ მესხი.

... ვიმეორებთ, თბილისის „დინამოსა“ და მონტევიდეოს „ნასიონალის“ არც ერთი ფეხბურთელი არ წასულა გასახდელში დასასვენებლად ტაიმებს შორის. ყველა მინდორზე იყო, ყველა აცილებდა მიხეილ მესხს.

მეორე ბრძოლა განახლდა, მოთამაშეები ისევ ჩაებნენ ასპარეზობაში, უკვე უმესხოდ...

რ. ქორიძე

ლელი 19.VII.69 წ.